ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 6/11

2024 წლის 27 ივნისი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 და მე-15 მუხლების, საქართველოს კანონის „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-6 მუხლის, საქართველოს კანონის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეებთან ერთად, გენდერული თანასწორობის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, შეიმუშაოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიის მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმა.

მუხლი 3.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**

დანართი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი

გენდერული თანასწორობის სტრატეგია

თავი I
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები

მუხლი 1. გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები

სტრატეგია განსაზღვრავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების გენდერულ პოლიტიკას და გენდერული თანასწორობის მიზნის მისაღწევად პრიორიტეტულ მიმართულებებს.

ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ადგილობრივი მოქალაქეების საჭიროებების შესაბამისად, თვითმმართველობის პროცესში ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებისა და ინტერესების თანასწორი გათვალისწინებით.

სტრატეგია ითვალისწინებს ერთობლივ მიდგომას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, შესაბამისი სამსახურების საქმიანობის უზრუნველყოფას გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალის და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე, განათლების, კულტურის და სოციალური მიმართულებით.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) გენდერული თანასწორობის სტრატეგია (შემდგომში - სტრატეგია) ადგენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, ითვალისწინებს საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას გენდერული თანასწორობის სფეროში.
2. სტრატეგია ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, „გენდერული თანასწორობის შესახებ“, „ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ და „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონებს, ასევე „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ კონვენციებს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მე-100 კონვენციას „მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 22 დეკემბრის №2545- Xრს-Xმპ დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციას“ და 2023 წლის 23 მარტის №2662-XIმს-Xმპ დადგენილებით დამტკიცებულ „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციას“ .

მუხლი 3. სტრატეგიის არსი

1.სტრატეგია არის გენდერული საბჭოს ერთგვარი სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას. იგი მოიცავს გენდერულ თანასწორობაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას, ამ ხარვეზების გამომწვევი მიზეზების ანალიზსა და მათ აღმოსაფხვრელად ღონისძიებების შემუშავებას.

2. გენდერული თანასწორობის სტრატეგია მოიცავს:

ა) არსებული მდგომარეობის ანალიზს (მონაცემების შესწავლა გენდერული თანასწორობის ხარვეზების შესახებ), რომელმაც უნდა გამოავლინოს ხარვეზების ძირითადი მიზეზები;

ბ) ანალიზის საფუძველზე კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, აქტუალური და დროში შეზღუდული ამოცანებისა და ინიციატივების დასახვას, რომლებიც აგვარებს გენდერული უთანასწორობის ძირეულ მიზეზებს და ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას (გენდერული უთანასწორობის ძირეულ მიზეზებთან ბრძოლა, ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების რაოდენობის გაზრდა, ანაზღაურების გენდერული ნიშნით განსხვავების დაუშვებლობა, ქალების განათლების გაუმჯობესება, გენდერული პასუხისმგებლობის მქონე პროგრამების განხორციელება, დასაქმებულების ტრენინგი გენდერულ საკითხებზე, გენდერული ბალანსის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღებისას ან გენდერული ძალადობის აღმოფხვრა);

გ) მონიტორინგს და პროგრესის შეფასებას, რაც გულისხმობს მონაცემთა შეგროვებას, ქმედებების, ინტერვენციებისა და კორექტირებების განხორციელებას.

მუხლი 4. სტრატეგიის მიზნები

სტრატეგიის მიზანია მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობა, კერძოდ, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა, გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა, უფრო სამართლიანი და თანასწორი გარემოს შექმნა ყველა დასაქმებულისთვის.

სტრატეგიის მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებებია:

ა) თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებისა და უნარების განვითარების/გაძლიერების მხარდაჭერა ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე, სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების რეგულარული შეგროვების სისტემის დანერგვა;

ბ) გენდერული თანასწორობის საკითხებზე ეფექტიანი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მექანიზმის დანერგვა;

გ) სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციის სხვა შესაძლო ფორმების გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე რეაგირების მოხდენა, საჩივრების მიღება - განხილვის ეფექტიანი მექანიზმის იმპლემენტაცია და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება.

მუხლი 5. სტრატეგიის ძირითადი პრინციპები

სტრატეგიის ძირითადი პრინციპებია:

ა) გენდერული თანასწორობის გაძლიერება და დაცვა;

ბ) გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ერთგულება;

გ) ადამიანის უფლებების პატივისცემა;

დ) დისკრიმინაციის, მათ შორის სექსუალური შევიწროების, პრევენცია და აღმოფხვრა;

ე) არადისკრიმინაცია და თანაბარი შესაძლებლობების გარანტირება.

გენდერული თანასწორობის გაძლიერებისა და დაცვის პრინციპი გულისხმობს გენდერული მეინსტრიმინგის გათვალისწინებას მუნიციპალიტეტის პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში, სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების შეგროვებას და ანალიზს, რაც საშუალებას მისცემს საბჭოს შეაფასოს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა გენდერული ბალანსი, მათ შორის, თანამდებობრივი იერარქიის მიხედვით.

მუხლი 6. გენდერული საბჭო ახორციელებს სტრატეგიით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს:

ა) ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუნიციპალიტეტში დასაქმებულების ცნობიერების ამაღლება;

ბ) გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვა;

გ) გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შესახებ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება;

დ) გენდერული დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრისთვის სპეციალური ღონისძიებების პერიოდულად შემუშავება და განხორციელება;

ე) მუნიციპალიტეტში დასაქმებულებისთვის გენდერულად მგრძნობიარე სერვისების დანერგვა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ვ) გენდერული თანასწორობის საკითხებზე კვლევების განხორციელებისა და ამ საკითხების სწავლების განვითარების მხარდაჭერა.

მუხლი 7. გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭო უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის:

ა) თანასწორი ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;

ბ) თვითრეალიზების თანაბარ შესაძლებლობას;

გ) თანამდებობის დაკავებას პროფესიული ნიშნის, უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

დ) თანამდებობრივ დაწინაურებას, აგრეთვე ყველა სამსახურებრივი შეღავათითა და პირობით სარგებლობას;

ე) პროფესიულ მომზადება/გადამზადებას, სწავლას და კვალიფიკაციის ამაღლებას;

ვ) თანასწორ მოპყრობას მუშაობის ხარისხის შეფასებისას;

ზ) ღირსეულ შრომის პირობებს და ეფექტიან დასაქმებას;

თ) ღირსეულ ანაზღაურებას;

ი) მუნიციპალიტეტში დაცული საჯარო ინფორმაციის მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას;

კ) გენდერული საბჭოს საქმიანობაში თანაბარი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას.

მუხლი 8. გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება უნდა ეხებოდეს ისეთ თემებს, როგორიცაა გენდერული დისკრიმინაციის, ზიანის მომტანი გენდერული სტერეოტიპების/პრაქტიკის და პატრიარქალური კულტურის გავლენა და შედეგები; ერთი სქესის უპირატესობა მეორის მიმართ; ქალთა დაქვემდებარებული, სტერეოტიპული როლი და გენდერული უთანასწორობა.

თავი II

სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები

მუხლი 9. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის სამართლებრივ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების სრულყოფა და სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა

ა) ქალაქ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება;

ბ) შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისი **„გენდერული თანასწორობის საბჭოს“**-სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება;

გ) **„გენდერული თანასწორობის საბჭოს“**-სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგისათვის შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფა;

დ) საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განახლება;

ე) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში გენდერზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის სამართლებრივ ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შესწავლის საფუძველზე, საჭიროებების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის უზრუნველყოფა

ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის „გენდერული აუდიტის“ განხორციელება და შეფასების შესაბამისად ცვლილებები მის საქმიანობაში;

ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობის განსაზღვრა, მეთოდოლოგიის დამტკიცება და პასუხისმგებელი უწყების იდენტიფიცირება;

გ) მონიტორინგის შედეგების მართვისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მიწოდების წესის დამტკიცება.

3. შემუშავებული საჭიროებათა კვლევის ინსტრუმენტის დანერგვა

ა) ჩატარებული კვლევის შედეგების სრულყოფის მიზნით მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მოსახლეობის ინდივიდუალური გამოკითხვის უზრუნველყოფა;

ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ მეთოდოლოგიის დამტკიცება, მისი შედეგების განახლებისა და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ასახვის მიზნით;

გ) მეთოდოლოგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების იდენტიფიცირება;

დ) იდენტიფიცირებული პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენელ პირთა გადამზადება და კვლევის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ- ტექნიკურ უზრუნველყოფა.

4. გენდერული ჭრილში სტატისტიკური მონაცემების მართვა

ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, დამუშავების, შენახვისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცება;

ბ) გენდერული სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა.

5. დროებითი სპეციალური ზომები ქალთა და მამაკაცთა შორის არსებითი თანასწორობის მიღწევის დაჩქარების მიზნით, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აგრეთვე, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში

გენდერული თანასწორობის სტიმულირება ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში.

6. გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა

გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან პერიოდული შეხვედრების ჩატარება გენდერული თანასწორობის პრობლემურ საკითხებზე და მათი ჩართვა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

მუხლი 10. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

1. გენდერული ბიუჯეტი

ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შემოსავლებისა და ხარჯების გაანალიზება სქესთან მიმართებაში, თუ რა განსხვავებულ გავლენას ახდენს ქალებისა და კაცების ცხოვრებაზე ბიუჯეტის ხარჯები თუ შემოსავლები;

ბ) პრიორიტეტების განსაზღვრა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, საბიუჯეტო რესურსების რესტრუქტურიზაცია გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით;

გ) გენდერული ასპექტების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე;

დ) ჩატარებული კვლევის შედეგად, მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებით, გენდერულად მგრძნობიარე პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცება.

2. გენდერული ასპექტის გათვალისწინებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის სპეციალური მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება

ქალებისა და მამაკაცებისათვის საწარმოო რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ბიზნეს საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის საჭიროებების გამოვლენა, შესაბამისი პროგრამების (საგანმანათლებლო, პრაქტიკული უნარების განვითარების) შემუშავება და განხორციელება; დასაქმების ბაზარზე ქალთა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, შესაბამისი პირობების შექმნა და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებთან მათი ადაპტაციის ხელშეწყობა.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საწარმოებსა და დაწესებულებებში კონტროლის მექანიზმების დახვეწა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ დადგენილი ანტიდისკრიმინაციული ნორმების დაცვაზე და შრომის ანაზღაურების სფეროში გენდერული დიფერენციაციის აღმოსაფხვრელად

როგორც ქალების, ისე კაცებისათვის სამსახურებრივი და ოჯახური ცხოვრების შეთავსების შესაძლებლობების შექმნის მიზნით, ღონისძიებათა დაგეგმვა და შესაბამისი მექანიზმების დამკვიდრება.

4. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე და პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართულობის სტიმულირებაზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების შექმნა.

5. გენდერული თანასწორობის მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შესაბამისი საბიუჯეტო უზრუნველყოფა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით შესაბამისი ხარჯების ასახვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 11. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

1. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამების დანერგვა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ორივე სქესის წარმომადგენელთათვის

კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში მუნიციპალური პროგრამების გენდერული ანალიზის შედეგად, მუნიციპალიტეტში მცხოვრები განსხვავებული სქესის, ასაკობრივი, თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შემუშავება.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებზე, მათ შორის განსხვავებული სქესის, ასაკობრივი ან/და შესაძლებლობების მქონე ჯგუფების ინტერესებზე მორგებული, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა

ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლა;

ბ) არსებულ თუ შემდგომში დაგეგმილ კულტურულ და სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობისა და მოსახლეობის საჭიროებების კვლევა გენდერულ ჭრილში;

გ) კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისი კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ქალთა და გოგონათა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა

ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ქალებისა და გოგონების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის კვლევა;

ბ) კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების გათვალისწინებით ქალთა და გოგონათათვის პროფესიული განათლების ხელშემწყობი მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

მუხლი 12. სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის გათვალისწინება და სოციალურად მგრძნობიარე ჯგუფების ინტეგრაცია. ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და გენდერულად დაბალანსებული სოციალური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, გენდერულ ასპექტთა გათვალისწინება მოწყვლად ჯგუფთა სოციალური გააქტიურების ხელშესაწყობად, სოციალური ფონის გაუმჯობესება და პროგრამებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა.

1. პრიორიტეტული პროგრამების გათვალისწინება სოციალურ პაკეტში

ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შეჭირვებული და მოწყვლადი მოსახლეობის საჭიროებების კვლევა გენდერულ ჭრილში;

ბ) სოციალური პაკეტით გათვალისწინებული პროგრამებით მოსარგებლეთა კვლევა გენდერულ ჭრილში;

გ) კვლევის შედეგების საფუძველზე სოციალური პაკეტით განსაზღვრული პროგრამების პრიორიტეტების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში ახალი პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

მუხლი 13. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში დაუშვებელია ნებისმიერი დისკრიმინაცია.

1.პრევენცია და რეაგირების მექანიზმების უზრუნველყოფა

ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტის საქმიანობის, აგრეთვე სამართლებრივი აქტების და შიდა რეგულაციების, შესაბამისობა საქართველოს კანონთან „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან;

ბ) დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირების ეფექტური მექანიზმების დანერგვა;

გ) დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თავიდან აცილების მიზნით პრევენციული საინფორმაციო საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების უზრუნველყოფა;

დ) სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე;

ე) დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრება მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირზე და დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრის უზრუნველყოფა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

მუხლი 14. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით ეფექტური პროგრამების დაგეგმარება და განხორციელება;

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების შემუშავება იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, რომლებიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისკენ, ძალადობის აღკვეთისკენ, მოძალადის სამართლებრივი დევნისკენ, მისი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ, მსხვერპლის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისკენ (საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ მუხლი 6 პ.1).

1. პრევენციული ღონისძიებები

ა) საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, მუნიციპალიტეტის მმართველობის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული დაწესებულებების თანამშრომელთათვის;

ბ) ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება ბავშვთა მიმართ ძალადობისა და „ნაადრევი ქორწინების“ საკითხებთან დაკავშირებით.

2. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე, არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დახმარების მიზნით მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

თავი III
სტრატეგიის მონიტორინგი

მუხლი 15. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ყოველწლიურად განიხილავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებებს, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის შეფასების, სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის, ან/და რეკომენდაციების გაცემის შესახებ.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციასა და შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც საბჭოს სხდომაზე პერიოდულად განიხილავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.